



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბობლიაშვილი ადამ იასონის ძე



ა. ბობლიაშვილი

ბობლიაშვილი (ფსევდ. ალვანელი) ადამ იასონის ძე (22. V. 1912, სოფ. ზემო ალვანი, ახლანდ. ახმეტის მუნიციპალიტეტი, - 18. III. 1943, იქვე), მწერალი, საიდუმლო პოლიტ. ორგანიზაციის „სამანის“ (საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლი ახალგაზრდა ნაციონალისტები) ერთ-ერთი თავკაცი თუშეთში (1941- 43).

„სამანელთა“ მიზანი იყო საქართველოს გადარჩენა ორი იმპერიის - გერმანიისა და რუსეთის - ომში და ბრძოლა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. საქართველო მათ ესახებოდათ ბურჟ. კონსტ. ტიპის სახელმწიფოდ. 1930 ოქტ.-დეკ-ში ბ. მასწავლებლად მუშაობდა სოფ. ნაფარეულში. 1931 - 35 სწავლობდა ერევნის ვეტერ. ინ-ტში. 1935 დაბრუნდა საქართველოში და 1937-მდე მუშაობდა ხევსურეთში (ბარისახო), ზემო სვანეთში, შემდეგ კი შირაქის

მომთაბარე ვეტუნქტში ექიმის თანამდებობაზე.

1938 ჩაირიცხა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტზე ქართ. ენისა და ლიტ-რის განხრით. ბ-ის პირველი ლექსი „დედის ბარათი“ დაიბეჭდა ჟურნ. „ჩვენს თაობაში“ (1940, № 1). 1940-41 აქვე კიდევ სამი ლექსი გამოქვეყნდა. სსრკ -გერმანიის ომის დაწყების შემდეგ ბ. დაუკავშირდა საიდუმლო პოლიტ. ორგანიზაციას, რ-იც „1942 წლის შეთქმულების“ სახელით შევიდა ჩვენს უახლეს ისტორიაში.

1942 დამდეგს დაიწყო შეთქმულთა დაპატიმრება, ბ-მა თუშეთში გაასწრო, მაგრამ ამ ორგანიზაციაში მუშაობა არ შეუწყვეტია. მოკლეს თორღვას ხეობაში, როცა გაანადგურეს „სამანის“ მთავარი ბირთვი.

ბ-ის ლექსები პოპულარული იყო თუშეთში. ბევრი მისი ლექსი და მოთხრობა უკვალოდ დაიკარგა, რომანისა კი მხოლოდ ფრაგმენტებია გადარჩენილი. როგორც პროზაიკოსი ბ. გვევლინება ა. ყაზბეგის ლიტ. ტრადიციის გამგრძელებლად. 1976 თვითგამოცემით ჟურნ. „ოქროს სანძისში“ (№ 4) დაიბეჭდა ბ-ის ლექსები. ოფიციალურად ჩვენს მწერლობას დაუბრუნდა 1989 (იხ. „ლიტერატურული საქართველოსა“ და „მნათობის“ პუბლიკაციები).

თხზ.: გრიგალო, იყუჩე... (ლექსები და მოთხრობები), თბ., 1993.

ლიტ.: ჩ ხ ე ი ძ ე რ., დაწყევლილი თაობა, თბ., 1992.

რ. ჩხეიძე
